ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №301344

ნომერი: AR170648

თარიღი : 01.08.2012

გაცემის თარიღი : 08.08.2012

გაცნობის თარიღი : 10.08.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მე-8 ლეგიონის მოპირდაპირედ, კახეთის გზატკეცილის N44-ის მოპირდაპირედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე გელაშვილი პ/ნ 01031004134
- თბილისი ზ.ბენდელიანის ქ. კორ. 3 ბ. 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ: ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ნაწილში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებული კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო წარწერების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. აუცილებელია საპროექტო დავალებით განსაზღვრული სარეკლამო მოცულობითი წარწერების შემცირება–დეპატარავება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალაზე დამუშავებული განახლებული ფოტომონტაჟის (გაბარიტული ზომების და მოსაპირკეთებელი მასალების მითითებით) შემუშავება და აღნიშნული დოკუმენტაციის შესაბამის ველში ატვირთვა.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.